№ 2 15 იანვარი. 1863 წ. № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი-ფოთლი

დაბეჭდილა ქალაქსა ტფილისსა. ... ბეჭდვასა, საკუთარსა სახლსა...

ეკმოიცემა ორკვირაში ერთხელ. ფასი ცალკეულ ფურცელზედ ექვსი ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბამბის დაძვირება მოხდა იმაზედ, რომ ატუდა ომიანობა ამერიკაში, საიდანაც ევროპას უმეტესი წილი ბამბა მოსდიოდა. ამ საქონლის მოსვლა ერიბაშათ მოწყდა, და აი რა მიზეითა.

ის ნაწილი ამერიკისა, რომელშიაც ატესილა ომიანობა, არის შემდგომილი მრავალის მაზრებითგან, რომელთაც ჩედ-ს წლამდინ ერთი მთავრობა ჰქონდათ, და ერთს რჯულს ემორჩილებოდნენ. რადგანაც ამ მთავრობის სამფლობელო დიდი იყო, სხვა და სხვა მაზრების ჭავაცა და, გამოსავალიცა გაირჩეოდნენ ერთმანერთიდგან, ასე რომ ნახევარ მაზრებს სხვა გამოსავალი ჰქონდათ და ნახევარს სხუა. ჩრდილოეთის მაზრების საქმე იყო ვაჭრობა, ხელოსნობა, თესვა ჰურისა, იონჯისა, და სხვა მცენარისა, რაც შეეფერება ცივს ჭავასა; უმჯავრესი საქმე სამხრეთის მაზრებისა კი იყო თესვა თამბაქოსი, სიმინდისა და მეტადრე ბამბისა, რომელსაც უგზავნიდა მრთელს ევროპასა. ჭავა სამხრეთის მაზრებისა არ არი სრულიად მთელი მეტადრე იმ ადგილებში სადაც ითესება თამბაქო და ბამბა, ასე რომ თეთრი კანიანი კაცი ვერ აიტანს ამ ჭავასა. ამ მიზეზით დიდი ხანია, რაც სამხრეთის მაზრების ამერიკელებმა დაიწყეს გადაევანა აფრიკიდამ, ზოგი სყიდვითა, ზოგი მოპარვითა, შავ კანიანი კაცებისა, რომელთაც ჰქვიათ ნეგრი, და ამ ნეგრებს ამუშავებენ იმ ცუდ-ჭავიან ადგილებში, რადგანაც ესენი ჭავას ბევრ წილათ კარგათ იტანენ. ამ დროში ამერიკაში არის ამ გვარად გადმოსახლებული ოთხი მილლიონი ნეგრი, რომელნიცა ჰყავთ ტუვესავით, ამუშავებენ როცა უნდათ, ჭსცემენ და ჭსტეჰენ, როცა ქეიფა მოუვათ, ჰყიდიან, როგორ გაჰყიდის კაცი ჰირუტევსა. ვისაც მიწები აქვს და უნდა დათესოს თამბაქო ანუ ბამბა, იმან უთუოდ უნდა იყიდოს საკმაოდ ნეგრები, თითო ათ ანუ თსუთმეტ თუმნათ, გაუკეთოს იმათ გომები, მისცეს საკვები და მიუჩემოს მწყემსი. ნეგრი და იმის ნაშენი არის საკუთრება იმის მსყიდველისა როგორც ძროხა და ძროხის ნაშენი, და რასაკვრველია მუშაობისათვს ჰატრონი როგორც ძროხას არას მისცემსრას, ისეც ნეგრს არაფერს არ აძლევს და არც კაცად რიცხავს. ამიტომ ბამბის მოყვანა, ამერიკელებს იაფად უჯდებათ და ძალიან დიდი გამორჩომაცა აქვსთ. წელიწადში აქედამ მოდიოდა ევროპაში ოცდა თსუთმეტი მილლიონი ფუთი ბამბა, ფასით ორას ორმოცდა სუთი მილლიონი მანეთისა (ფუთი შვიდ მანეთად). ბამბის მოყვანას უნდა ცხელი ჭავა და ბევრი მუშის შრომა, და სადაც მუშა ძვირია, ბამბაც უნდა ძვირათ დაჯდეს. ამერიკელებს მუშები მუქთი ჰყვანდათ, ბამბას იაფათ ჰყიდდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომ მრთელ ევროპას აქედან მოჰქონდა ეს საქონელი. ამ მდგომარეობაში იყო საქმე ჩეჯ-სა წლამდინ. თუმცა ამის წინათაც ამერიკის მთავრობას ებრალებოდა ნეგრების მეოფობა და ჰსურდა შემსუბუქება იმათი უღლისა, მაგრამ ამ სურვილს სრულად ვერ აცსადებდა და თუ ამ საქმესედ ჩამოაგდებდა სიტყვასა, მა შინვე სამსრეთის მაზრები გაჰმართავდნენ ჩხუბსა და ეოველის ცდით ეცდებოდნენ, რომ საქმე ისევ მიურუვდეს რამდენიც რამდენი დრო და ჟამი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო სასირცხვილოდ მიუჩნდა ამერიკის მთავრობასა, რომ ამისთანა განათლებულს ქვეყანაში კაცები ჰყვანდათ დატვეებული და ჰირუტეეიეით ექცეოდნენ. ბოლოს მთავრობამ ვეღარ მოიცმინა და უთოოთ მოიწადინა ნეგრების განთავისუფლება. სამსრეთის მაზრელებმა ნახეს, რომ ამ განთავისულებამ უნდა წაართოს იმათ მუქთი მუშები და ამასთან ეოველივე იმათი სიმდიდრე, და დაეჰირეს წინააღმდეგობა ეოველის მეცადინეობისა. უნეგროთ არ იქნება იაფი ბამბა, და უამისოდ სამსრეთელების სიმდიდრე, და ამისთჳს შეჰკრეს ჰირობა რომ არაფერი დაზოგონ თავიანთი სურვილის შესრულებისათჳს. მთავრობამ, რომელიც იეო ჩრდილოეთის ქალაქში ვაშინგტონში, მეკრიფა ჯარი და უნდოდა ძალით დაემორჩილებინა სამსრეთელები; მაგრამ თვით სამსრეთელებმაც მოასწრეს ჯარის მოგროება და დაუსვდნენ ჩრდილოელებსა. გაიმართა ომი, რომელმაც ესე საშინლად მოაკლო ბამბა ევროპიის ფაბრიკებსა და დასცა ბამბის ვაჭრობა. ამერიკელებმა სალდათი მაგუანი არ იციან და იმათი ჯარი შესდგება მილიციისაგან. ამისკამო მრავალი სელი უნდა მოჰკლებოდა ბამბის თესვასა და მოეკანასა, რომ საკმაო ჯარი შემდგარიეო; ომის ადგილიც გადიტანეს სამსრეთის მაზრებში სადაც მოჰეავთ ბამბა, და რა საკვირველია ბამბის მოსავალს უნდა ეკლო და იმის ფასიც უნდა აწეულიეო. ამასთან ჩრდილოეთელებმა დაიჭირეს სამსრეთის ნავთსადგურები, საიდანაც გამოდიოდა ბამბით დატვირთული ხომალდები, აუკრძალეს ბამბის გამოტანა, სადაც დაინახავენ გამომგზავრებულს ევროპიისაკენ ხომალდს, ცეცხლს უდებენ და შიგ მაზრებშიაც ემემენ ბამბის მაღაზიებს და სწვენ. ადრიდგან შენახულის ბამბის გაწეეეტამ და ახალის თესვის დაშლამ მოახდინა ეს ბამბის სიძვირე და მოკლება, რომელიც მეტადრე ეტეობა ანგლიასა, სადაც მარტო თავიანთის ფაბრიკების სასმარად ეიდულობდენ წელიწადში ოც და სუთ მილლიონ ფუთსა, ახლაც თუმცა შემოაქვთ მოპარვით, მაგრამ ამისი მეასედი ძლივს მოდის. რაც ანგლიიდგან საქონელი გამოდიოდა სხვა ქვეყნებში გასასეიდათ ამისი მესამედი ნაწილი ბამბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიები იყო, და რაკი მასალა მოაკლდათ, ვაჭრობასაცა უთვალავი ზარალი მიეცა. რამთენი ბამბის ფაბრიკები დაკეტილა ევროპაში, და რამთენი თანხები დარჩომილა უქმად და უძრავად, რამთენს ათასს მუშას მოჰკლებია დღიური სარჩო.

ვნახოთ ახლა, რამდენი ბამბა მოდის მრთელს ქვეყანაში და შევიტყოთ, შესაძლოა თუ არა სხვა ქვეყნებითგან შემოტანა იმთენი ბამბისა, რამთენიც მოაკლდა ევროპას ამერიკის ომების მიზეზით. მრთელს ქვეყანაში მოდის წელიწადში ას ოცი მილლიონი ფუთი ბამბა: აქედან ორმოცდა ათი მილლიონი ფუთი შემოდის ევროპაში. სოლო დანარჩენს საოცდა ათს მილლიონს სმარობენ ადგილობრივ იმავე ქვეყნებში, სადაც მოჰყავთ ბამბა. ინდოეთს მოჰყავ წელიწადში ოცდაექვსი მილლიონი ფუთი, მაგრამ რვა მილლიონის მეტი ვერ გაუყიდნია, რადგანაც თითონვე უნდება დანარჩენი, თავისი ას ორმოც და ათის მილლიონის სალსისათვის. ჩინეთს დიდძალი ბამბა მოჰყავს, წელიწადში ორმოც და ათი მილლიონი, მაგრამ ხალხიც დიდძალი ჰყავს, ოთხას ოთხმოც მილლიონამდე, და თითონ ვერცკი ჰყოფნის. სპარსეთს, თურქისტანს და იმის ახლო ქვეყნებს მოჰყავთ სამ მილლიონ ფუთამდინ ბამბა, რომელშიაც არის შერიცხული ასი ათასი ფუთი ერევნისა და რამდენიმე ასი ფუთი იმერეთის ბამბა. ამერიკას გამოზდის წელიწადში ოცდა თხუთმეტი მილ. ფუთი.

უმრავლესი ნაწილი ევროპაში მოტანილის ბამბისა არის ამერიკიდგან გამოტანილი და თუ კიდევ დიდხანს ამერიკამ მოაკლო გამოგზავნა, ბამბა და ბამბის მატერიები დღე და დღე უნდა დაძვირდეს. უეჭველია, რომ ერთხელაც არი უნდა გათავდეს ამერიკის ომი და ბამბის ვაჭრობა მოვიდეს თავის ბუნებითს მდგომარეობაში, მაგრამ საქმე ის არი შავიტყოთ, როგორ ჩამოვარდება ბამბისა და ბამბის მატერიების ფასი, ერთბაშად თუ ნელ-ნელა, ან თუ რა უნდა უყონ ვაჭრებმა თავიანთ ბამბის საქონელსა როცა მოუვიდეთ ამბავი ამერიკის შერიგებისა? ამის შეტყობისათვის ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბამბის დაძვირებამ დაჰკა მრავალი კაცი, და იმათ ადგომას და გაძლოვას დიდი დრო უნდა. ამერიკის ომიანობამ მისცა ზარალი არამცთუ მარტო ფაბრიკებსა, თვით მამულის პატრონებსაცა, სადაც მოჰყვანდათ ბამბა. შერიგების უკან, ფაბრიკები რომ გაიმართონ, ორიწლის უქმობის ზიანი დაიბრუნონ და მატერიები ძველფასადვე გაყიდონ--ამისათვის საჭიროა რომ ბამბა გახდეს ადრინდელზე უფრო იეფათ. მაგრამ ადრინდელზე იეფად ბა რაგორ გაიყიდება? მიწების პატრონებმაც ამ ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის სიუქმითა ზარალი ნახეს და რასაკვრველია ეცდებიან, რომ ეს ზარალი დაიბრუნონ, და ამისათვს ადრინდელზედ ცოტა ძვრად უნდა გაეიდონ თავიანთი საქონელი. მაშა სადამე რამდენიმე წელიწადს, თუ გინდ შარიგდნენ კიდეცა, მაინც ბამბა და ბამბის მატერიები ძვირად უნდა იყვნენ და ფასი თუ მოაკლდება ნელ-ნელა და არა ერთბაშათ. დღესაც რომ მოსდეს შარიგება, მაინც კიდევ საჭირო იქნება სამიოდ კარგი მოსავლიანი წელიწადი, რომ ბამბა ნელ-ნელა თავის დონეზედ დადგეს. ტევილათა ჰგონია ბევრ წილს ჩუენი ვაჭრებისას, რომ რაკი ომი გათავდებაო, ბამბის საქონლის ფასი მაშინვე დაეცემაო, და ჩრდილოეთის მაზრელებს დაჭერილი აქვსთ სამხრეთელების ბამბებიო და როცა დაიმორჩილებენ, ამ ბამბებს გამოუშვებენო. ამ გვარი ფიქრები წარმოსდგება საქმის უცოდნელობისაგან, უეჭველია ფასი მოიკლებს, მაგრამ ჰირველში ეს დაკლება დიდი არა იქნებარა. ისიც დიდი საქმეა, რა თვეში მოსდება შარიგება. ვსთქვათ ამ გაზაფხულზედ რომ შარიგდნენ, მინდვრებს წლეულვე დასთესენ და ამ ზამთარსვე ცოტათ მოეშვება ბამბის ფასი: და თუ შარიგება მოსდება ზაფხულში, ბამბის დათესვას ვეღარ მოასწრებენ და მემრისამდინ ფასი კიდევ გადიდდება. მაგრამ აქამდისინ ჯერ შარიგება არ საიდგანა სჩანს, ომი იწყება ადრინდელსავით და ორივე მხარე ეოველს ძალას ხმარობს საომარს საშზადისსზე.

ი. ხატისიანი.

მარსელითგან ამბავი მოვიდა, ვითამც იქაურ ფაბრიკებს ჩვენი ბამბა დაეწუნებინოთ და ჯეროვანი ფასი არ მიეცათ ამისგამო ვითამც აქაური ბამბა არ ვარგოდეს მატერიების საქსოვად. ეს ამბავი ბევრი წილი მოგონებულია იმ ჭაზრით, რომ აქაურს ბამბას სახელი გაუტეხონ და ფასი დაუკლოთ თავიანთ სასარგებლოთ. თუ ეს მართალი იყოს, შარშან ლონდონის ვისტავკაში აქაურ ბამბას ჯილდოს არ მისცემენ: ამ ჯილდოს დმნიშვნელები ვგონებ ისეთი მცოდნე არიან საქონლისა, რომ უვარგის ნივთს შორიდგან იცნობდნენ და არ დააჯილდოებდნენ. აქაური ბამბა ინდოეთის ბამბას ასლოთა ჰგავს და როგორც იმასა აქვს გასაგალი, ისე ამას უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რომ ჩვენი ბამბა ამერიკის გრძელ ძარღვიან ბამბას ვერ ედრის. ჩვენი ბამბა მოკლე ძარღვიანია, მაგრამ თვით ამერიკაშიაც ნახევარი მოკლე-ძარღვიანი ბამბა მოჰყავთ, ამიტომ რო ამასაც თავისი სმარება აქვს. ისკი ემჯობინებოდა რასაკვირველია, რომ ჩვენშიაც გაემრავლებინათ გრძელძარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვიანი ბამბა, რადგანაც ეს უფრო ფასობს. მერმის ერევანში და იმერეთში გამოიცდება დათესა გრძელძარღვიანი ბამბის თესლისა, რომელიც მოატანინა ამერმკიდან მამულის ჰატრონების გამგებელობამ.

ამცოტა სანში მოსული ამბავი გვაცნობებს, რომ ლივერპულში გირვანქა თავი ბამბისა (ამერიკისა) იყიდება ოცდახუთ ჰენსად, ანუ ჩვენი ფუთი- ოცდა ოთხმანეთად.

ი. ს.

(დასარჩენი შემდგომ ნომერში)

კელთ მძღვანველი მიწის მოქმედისა.

(განგრძელება.)

სმირად ჯეროვანს მნიშვნელობას არ აძლევენ სიტყვებსა: ჩვენი მიწა, ჩვენი ადათი და ჩვეულება, ჩვენი საშვალობა. უეჭველია, რომ ჩვენ არ უნდა მივბაძოთ უფიქრელად რაცკი ვნახოთ სხვა ქვეყნებში და იქაური არუნდა ვირჩიოთ ჩვენებურ წესზედ; ისიც უეჭველია, რომ სხვა ქვეყნის სალსმა ბევრი სასარგებლო რამ ნახოს და ისწავლოს ჩვენის ხვნა თესვისაგან; მაგრამ ამასთან ჩვენც არ უნდა ვერიდოთ სხვა ქვეყნების წესის გამოცდასა და კარგის საქმის შეგნებასა. დიდათ შესცდება, ვინც იტყვის მაგალითებრ, რომ ჩვენ ვერაფერში ვივბაძავთ ღერმანიულს კეთებასაო, ამიტომ რომ იმათი რიგი დაწესებულა სხვა გარემოების მიზეზითაო, რომელნიც არიან: მიწის სიცოტავე, მუშის სიუხვე და სიაფე, და მიწის გამოსავალის სიმვირეო. ეს გარემოება უნდა გაშინჯოს დაუზარებით და არდარჩეს უეურადღებოთ მსოლოდ ჩვენის ადათის ჰატივის ცემისაკენ და ეოველს შემთხვევაში ადათსა და ჩვეულებას მსოლოდ მაშინ უნდა ვიცავდეთ შეურეველად და ჰატივსა ვცემდეთ, როცა არარის წინა აღმდეგი გონებისა და სარგებლობისა.

ძველი ადათის დაცვის სასარგებლოთ სშირად მოჰყავთ, რომ ესა და ეს ადათი რამდენიმე საუკუნეა რაც დაწესებულაო. მაგრამ ეს საბუთი სშირად უსაფუძვლოა. ბევრი ამგვარი ადათი და ჩვეულება ადრე ეოფილა კარგი და სასარგებლო, და შემდგომ რაკი გარემოება ადგილისა გამოცვლილა, გადაქცეულა უსარგებლოდ და მავნებელად, და თუ აქამდის არ შეცვლილა, ამისი მიზეზი ის არის, რო ეს შეცვლა ჯერ ფიქრად არავის მოსვლია.

ჩვენი გუთანი იმდროს არის დაწესებული, როცა ორისა და სამი დღის ნასნავი დიდს ოჯახს სრულად ჰეოფნიდა რადგანაც გამოსავალი ბევრი იყო. მაშინ ამ გუთნის უსერსოობა მაგთენათ არავის გამოუჩნდებოდა, მაგრამ ამდროში რაც მოსავალი მიწისა თანდა თან კელებულობს და საჭირო ხდება უმეტესი ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მოხვეა რომ საკმაო მოსავალი აიღოს მსვნელმა, ახლა ამკუთნის უხერხოობა უფრო თვალსაჩენი გახდა და დიდი შეცთომა იქნებოდა, რომ ამავე გუთანს ვირჩევდეთ მხოლოდ იმ მიზეზითა, რომ ჩვენს მამაპაპას ეგ უხმარიაო.

მამულის პატრონობისათვის სწავლის გარდა საჭირო არის წვრთა ანუ მოხმარება სწავლისა თვით საქმეში. ამ წვრთასა ჰქვიან პრაკტიკა. თვით მსვნელ-მთესველმა ამას გარდა უნდა იცოდეს სერსიანად მოქცევა სხვა და სხვა მოქმედებაში ესე იგი: სვნაში, თესვაში, მკაში და სხ. და ეს სერსი მოიპოება წვრთითა და მიბაძვითა, და არა კითხვითა. ეს სამ გვარი ვითარება: სწავლა, პრაკტიკა და სერსიანობა თვით მუშაობაში--შეადგენს სრულს მსვნელ-მთესველსა ანუ აგრონომსა და ერთად არაოდეს არ იქნება შეერთებული ერთს კაცში. დიდი მამულის მამკვლელისათვის საჭიროა სწავლა და პრაკტიკა, მუშისათვის სერსიანობა მუშაობაში. კითხვა მსვნელ-მთესველობის დარიგებისა ორივეს გამოადგება და ორივესათვის იქნება სასარგებლო,

სწავლა მამულის პატრონობისა, რომელიც გვასწავლის სარფიანად მოსავლის მოყვანასა, არაფერათ არა ჰგავს უკადრისს ანგარებასა, ხნეობის წინააღმდეგსა. ეს სწავლა სრულად უარ ჰყოფს სხვის შრომით ცხოვრების წადილსა. და იმისი პირველი კანონი არის სიტყვა საღმრთო წერილისა. «იცხოვრე ოფლითა შენითა, ანუ რომელსაც არა ჰსურდეს შრომა, ნურცა ჰსჭამდეს. იმისი წადილი არის სრული და სასარგებლო მოხმარება ბუნების ძალისა, ამ გვარად რომ ეს ძალი, ღუთისგან მოცემულითა ჩუენთჳს ნიჭითა და გონებითა, შევქმნათ უფრო კეთილის-საეოფელი კაცისათვის.

ნაწილი პირველი,

სწავლა მცენარეთ განმრავლებისათვის.

§ 1

სწავლა მცენარეთ გამრავლებისათვის გაიეოფება ორ ნაწილად: პირველი შეიცავს კანონსა მცენარეთ გამრავლებისასა საზოგადოდ, მეორე აჩუენებს, თუ როგორ მოვიხმაროთ ეს კანონები თვითეულის მცენარის გამრავლებაში

კანეოფა ა.

სწავლა მცენარეთ გამრავლებისათვის საზოგადოდ. თავი პირველი.

ცნობა მცენარების ცხოვრების პირობისა.

§ 2

რა არის მცენარე? მცენარე არის ერსება ცხოველი, რომელსაც არა აქვს ნებიერი მოძრაობა.

§ 3

მცენარის ორღანოები. მცენარეს რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც სხვა ცხოველს სხეულსა, აქვს ორ-ღანოები ანუ ნაწილები, რომელნიც არიან დანიშნულნი სხვა და სხვა სასიცოცხლო მუშაობისათვის

ა. საჭმელის მიღებისა და შეთვისებისათვის აქვს: ფესო, ღერი, შტოები და ფოთლები.

ბ. ორღანოები განმრავლებისა არიან: ყვავილი და ნაყოფი.

§ 4

ფესო. ფესო არის ის ნაწილი მცენარისა, რომლითაცა ჰწოვს წყალსა და წყალში გასსნილს ნივთებსა. ფესო უდგა მცენარეს ხან მიწაში, ხან წყალში, ხან სხვა მცენარეში. ვისაც სხვა მცენარეში უდგა ფესო, იმას უწოდებენ სხვათა მჭმელს მცენარესა (როგორც ფათალო). ფესო იყოფება შტოებად და შტოებზედ ამოდის ძაფებივით წვრილი ძირკვები, რომელთა ბოლო აქვთ ღრუბელივით მწოვნელი; თუ ეს ბოლო მოსწყდა ძირკვსა, წყალს ვეღარ მოსწოვს მინამ ახალი ბოლო არ გამოვა და აი რა არი მიზეზი რო როცა გადარგვაში ძირკვები დასწყდება ხესილსა მაშინ ალარ იხეირებს რაც უნდა წყალი მიუმარჯვონ. ფესო იქნება ერთი-წლოვანი, როცა ერთი-წლის მეტს ვერა ცხოვრობს, აი როგორც ფეტისა, თამბმქოსი, ლობიოსი და სხვა. ანუ ორი წლოვანი. როცა ორი წელიწადი რჩება და მერე სმება, როგორც სტაფილოსი, ჭარხალისა, ბოლოკისა, ხახვისა ანუ ძრავალ წლოვანი, როგორც იონჯისა, სამეურა ბალახისა და სხვა.

§ 5

ღერო არის ის ნაწილი მცენარისა, რომელიც იზდება ზედ ფესვზედ, დგას ზეზე და მოისხავს ფოთლებსა და ნაყოფსა, თავთავიან მცენარეს ეოველთვის გაუოფელი აქვს ღერო, დანაშთენს გაყოფილი. ღერო ან ეოველწელს სმება, როგორც ბალახისა, ან რჩება დიდხანს, როგორც ხეებისა. ხეების ღეროს ეოველ წელიწადს ემატება სისქე, თითო შრე, ასე რო მოისერხოს ხე და შრეები დითვალოს შაიტეობენ რამთენი წლისა არის.

ფოთოლი. როგორც ძირკვი ჰწოვს წყალსა, ისე ფოთოლი სწოვს ჰაერსა და გამოუშვებს ორთქლათ მცენარიდგან რაც არის უვარგისი დაგროებული წყალი. ბევრ-წლოვან მცენარებს ფოთლები გამოსდით და სცვივათ ანუ ეოველწელიწადს ანუ რამდენიმე წლის განმავალობაში როგორც კვარსა და ნაძვსა. ჩამოცვივნილი ფოთლები ლპებიან და ხდებიან შავ მიწად, და სადაც იმ გვარი ხეებია, რომ ეოველწელიწადს ჰსცვივა ფოთლები, იმათ ქვეშ უფრო მალე გროვდება მრავალი შავი მიწა, მინამ ნაძვისა და ფიჭვის ხეების ქვეშ.

(შემდგომი მომავალს ნომერში.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმის ჭიის დაჭერის ანგარიში.

აბრეშუმის ჭიის დაჭერისა პირველი ის არის, რომ კაცმა სრულად იცოდეს რა ერთი ფურცელი აქვს და რამთენს ჭიას ეყოფა ეს ფურცელი. თუ ეს ანგარიში წინაწინვე არ შეიტყო, ან იმთენს ჭიას დაიჭერს რომ მერე არ იცოდეს რით გამოკვებოს, ან ისე ცოტას, რომ ფურცელი დამეტდეს და უსარგებლოდ დარჩეს. ამისათვის ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებსა ანგარიშს, რომელიცა არის გამონაცადი ნუხში და ფრანციაში. წინაწინვე უნდა ვთქვათ, ეს იმისთანა ანგარიშია, რომ კაკალივით არ დაითვლება-ცვლილება ექნება ყოველგვარ მაგრამ ეს ცვლილება ისე დიდი არ იქნება, რომ თვალსაჩენი იყოს.

ვისაც ერთი დღის ფურცელი აქვს ჩაერილი, იმან ნახევარ გირვანქა ჭიის თესლი უნდა იქონიოს, ანუ ცოტა მეტი რადგანაც ახლა ჭია ბევრი ისოცება.-ერთი დღის ნასნავზედ ნუსურად რო დარგათ ოცი ათასი ძირი ფურცელი დაეტევა, ცოტა მეტი ანუ ნაკლები საქმეს არ წაასდენს. თხუთმეტი ათასიც რომ ჩავრგათ თითქმის ისევ ის ფოთოლი გამოვა, ამიტომ რო რამთენიც თხლად არის ჩაერილი, იმთენი უფრო მტოვები მეტად გაეზდება ხესა.-ყველამ იცის, რომ ჭია მინამ ჰატარაა, ადგილიც ჰატარა უნდა, და რაკი წამოიზდება, ადგილსაც მომატებულს მოითხოვს. თუ ადგილი ფართოთ არა აქვს, ჭიას დიდი ზარალი ეძლევა, ბევრი წედება სივიწროებით, და დანარჩენიც იჩაგრება და გვარიანათ ვერ იზდება. აი რა არის ჯეროვანი ადგილი გაზდილი ჭიისათვის. ნახევარ გირვანქა თესლითგან გამოსულს ჭიას უნდა ჩარდახი სიგრძე ექვსი საჟენი, სიგანით შვიდი რუსულ ადლი და სიმაღლით სუთი ადლი. ა ჩარდახში ლასტებს დააწყობენ ექვს ეტაჟად, ასე რომ ლასტსა და ლასტს შუა სამი ჩარექი ადლისა იყოს გაშვებული ალაგი. ეს ფრანციის წესია. ნუხში ორ ეტაჟათ აწყობენ ლასტებსა, მაგრამ სახლიც იმიტო დიდი უნდება. აქ ნახევარ გირვანქის ჭიას უნდება ჩარდახი სიგრძით რვა საჟენი, სიგანით ოთხი საჟენი და სიმაღლით ერთი საჟენი.

ნახევარ გირვანქა თესლის ჭია გაკეთებს ოც და ორ ფუთს აბრეშუმის ჰარჯსა, კარგ მოსავალში, და აქედამ გამოვა ორ-ფუთამდინ აბრეშუმი. ფასი ერთი ფუთის აბრეშუმისა გამოსვევაზედ ჰკიდია. კარგათ გამოსვეული იყიდება ფუთი ოც და ათ თუმნამდინ; ცუდ გამოსვეულში ათ თუმანზე მეტს არ აძლევენ.

ერთ ფუთს ფარკს გამოუვა ორგირვანქა ნახევარი ჭიის თესლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო მცენარეთა

ერთს ნემენცურს ჟურნალში აი რას მოგვითხრობენ ეკონომიურს მცენარეებზე, რომელნიც შემოუტანიათ ევროპიის სვნა-თესვაში. აზიიდგან არის გადმოტანილი ევროპიაში საუკეთესო ჯინშის ვაშლი, მსხალი, ადჯანაბათი, ეურმენი, ლიმონები, წაბლი და ნაძვი ლიბანისა; ხორბალი გადმოტანილია ეიზილბაშიდგან და ინდოეთიდგან; ბრინჯი ინდოეთიდგან, ქერი სომხეთიდგან და საქართველოდგან, რომელიც ამ ადგილებში მინდვრის ბალასსავით, მოუველლად იზდება. კომბოსტო და მალვაზის ეურმენი არის გადმოტანილი კიპრის კუნძულიდგან. შაქრის ლერწაში, ბაკლა, კიტრი და ბალზამა ინდოეთიდგან. ჩინეთიდგან გარდმოტანილია ევროპიაში სატაცური, თურინჯი (**Померанцы**), ჰორტუღალელი ვინჩენცა დე კასტროს სელითა. კერესუნტიდგან ალუბლის ხე გარდმოიტანა ჰირველათ იტალიაში ლუკულმა. ტიბალდო ტრუბადურმა ევროპაში გააჩინა დამასკის ვარდი. ჯვარის ლაშქრობის დროს წმინდა ლიუდოვიკმა გადმოიტანა ევროპაში ქრისტეს ბეჭედა (ლომის ფესა); ზამბახი. წარსულს საუკუნეში გარდმოიტანეს იასამანი ინდოეთიდგან, ნესვი მექიდგან, ჭიის თესლი ჰირველათ ჩინეთიდგან მოიტანეს ჰელლოპონეზში რომლის გამოც და დაერქო მორეია (morus), აქედგან რუჯიარმა გარდაიტანა სიცილიაში, რომლიდგანაც შემდეგ გადავიდა იტალიაში და ფრანციაში და სხ... აფრიკიდგან გამოსულან შემდგომნი მცენარენი: ნუშის ხე, სელი, ლეღვის ხე-- ეგვიპტიდგან; ოხროხოში და ბროწეული კართაღენიდგან; მადერის კუნძულიდგან დარიჩინი. ამერიკას ევროპა უნდა ემადრიელებოდეს წიფელნარს სეებისათვის, და ოქროს ვაშლებისათვის. მექსიკიდგან გარდმოტანილია: ღამური იასამანი, ვანილი და თეთრი აკაცია, ეეორგინა, მაგნოლია (კამომტანის სახელი) და სუნელი. ვირგილიიდგან მოიტანა კარტოფილი რობერტ რალეიმ ანგლიაში, რომელიც ითესება დაჭრილი და მთელ-მთელი; ვესპასიან რობენმა ფრანციაში გარდმოიტანა ვირღინიიდგან უბრალო აკაცია. სამხრეთის ამერიკიდგან გადმოტანილია მურეანი, კანადიდგან შავი იფანი, არეის ხე და ტუა, რომელიც იზდება ალჟირის ტეეში. ამერიკის ჰოვნის შემდეგ ისპანიელებმა იუკატანში და ანტილის კუნძულებზედ იპოვნეს თანბაქო. რომელიც ევროპაში კარგა ხანს უკან ძლივს შემოვიდა. აქედგანაც გასულა ანანასი. სიმინდი ამერიკიდგან არის გარდმოტანილი თუ არა, ჯერ სწორეთ არავინ იცის. არცთუ ევროპიიდგან გასულა სხვა მსარებში ნაკლები მცენარენი. ამერიკაში გატანილია აქედგან ატამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეღჯ, სორბალი, ეაორმენი და მრავალი სხვა სასარგებლო მცენარე...

რამდენიმე გამოცდა კარტოფილის თესვაზედ.

არ იქნება უსარგებლო, რომ წარმოვადგინოთ გამოცდა კარტოფილის თესვაზედ უფ. რობესაგან ხემნიის ბოთანიკის ბაღში. აზრი ამა გამოცდისა იყო შეტეობა კარტოფილის გამოსავლისა და თესვისა: **1**) როგორი სიმრავლით და სიღრმით უნდა დაითესოს; **2**) როგორ ჩქარჩქარა უნდა მიწის შემოყრა და **3**) უნდა თუ არა ღეროების დაჭრა. ყოველთა შეტეობისათვის კარტოფილი იყო დათესილი სამს ადგილს. პირველზე კვლების სიშორე იყო ერთი ადლი, ერთი კარტოფილის ძირკვი მეორეზედ ნახევარ ადლი და სიღრმე ორი გოჯი და ნახევარი. მეორე ადგილას სიშორე კვლებისა იყო ადლნახევარი, ერთმანეთზე, ადლი. მესამე ადგილას სიშორე კვლებისა იყო ნახევარ ადლი ერთმანეთზე ერთი მესამედი ადლისა **12**. ამათ ზემოდგან ეყარათ მიწა ზოგს გოჯ-ნახევარზე და ზოგს ორ გოჯ-ნახევარზე. პირველ თესვას მოუნდა **210** თავი, მეორეს **152**, დაითესა **3** ძაისსა. ყოველს ადგილს ივნისის პირველში შემოუქუჩეთ მიწა. ერთ ადგილას ივნისის **24** დავაჭერით **3-4** გვერდის ღეროები; კიდევ **15** ივლისს დავაჭერი კარგა ბლომათ გვერდის ღეროები, ერთიც **9** აგვისტოში. ბოლოს **17** აგვისტოში. ამ ადგილიდგან ორ გოჯზედ მიწიდგან დაჭრილი ღეროები ავწონეთ და ორის ზომით მჰიმე მოვიდა, ვიდრე რაც დანარჩენს ადგილებზე ღეროები იყო, რომელთაგანაც არც ერთსელ არ დაგვეჭრა. ამისგან შევიტეეთ შემდგომნი:

1. რომელ ადგილსაც ხშირათ დათესილი იყო, იქ მეტი გამოსავალი ჰქონდა, ვიდრე იშვიათში, მაგრამ კარტოფილიკი წვრილი იყო; და იშვიათში თუმცა ნაკლები გამოვიდა, მაგრამ თავები ძალიან სსვილი და კარგის ღირსებისა ჰქონდა.

2. რომელსაც გოჯნახევარზედ მიწა ჰქონდა მიყრილი, იმან მომატებულად ინაყოფრა, ვიდრე იმან, რომელსაც მიწა ეყარა ორ გოჯნახევარზედ.

3. მიწის შემოქუჩებამ მოუმატა გამოსავალი და გააკეთა ღირსება კარტოფილისა, რომლითაც კარტოფილის თავებში სასამებელმა მოიმატა ერთი ჩარექი (**25%**) მაგრამ დაკინებულმა შემოქუჩებამ ღერო გაუმალიანა და ავნო თავებსა.

4. ღეროების დაჭრამ ძალიან ავნო ასე, რომ მოუჭრელათ მოევანილ კარტოფილის კვალობაზე, ასი, ოც და ათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვარდა (70 %). გარდა ამისა ამ გვარმა დაჭრამ საკურვლათ წაუსდინა კარტოფილს ღირსება: თავები დაუკეთდა წვრილი, რაღაც ნაირს თეთრს კანში გასვეული, და მოსარჩვის დროს ჯარსლის ფერს იჭერდა;--საჭმელათ ხომ ფრიად საზიზღარი იყო. ასე მოყვანილი კარტოფილი გამოშინჯა უფ. ზიღერტმა და ჰპოვა მასში საშინელი მაწეინარი ნივთიერება. ესეც კი უნდა ვსთქოთ, რომ რამთენიც ღეროებს გვიან ვსჭრიდით და ცოტცოტასა, იმთენი ბუჩქსა და მარცვლებს მცირეთ ემლეოდა ვნება.

შემწეობის მიცემა მოულოდნელს უბედურების შემთხვევაში.

«შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი! და მოყვასი ჩვენი არის ყოველი კაცი» ამ კანონის მიდევნითა ჩვენ უნდა ვსრუნავდეთ, რომ დავიცათ ფათერაკისაგან არამც მარტო ჩვენი თავი, არამედ ყოველივე კაცი. ეს არის ნამდვილი ვალი და თანამდებობა ყოველის კაცისა.

სიკვდლის ფათერაკი იქნება სამ სარისხად, ანუ კაცი ფათერაკს მისწეული ჰგავს მკვდარსა, ანუ სიკვდილი მიუცილებელია თუ არავინ მიეშველა, და ანუ სიკვდილი და სიცოცხლეც საეჭვოთ გამხდარან.

ამ სტატიაში იმ დარიგებაებს ავწერთ, თუ რაუნდა უყონ ავათმყოფსა მინამ ჰაქიმი მოვიდოდეს: ხშირად კაცი კვდება ხოლოდ იმის მიზეზით, რომ მახლობელებს არა ჰცოდნიათ, თუ როგორ უშველონ.

ბევრი ვნება წარმოსდგება ცრუ-მორწმუნებისაგან ე. ი. როდესაც ჰსწამთ, რომ მკვდარი, ბოროტის სულის ძალითა, სალამობით დგება საფლავითგანა და ღილით ისევ უკან ბრუნდებაო. ამ სულელურის რწმუნების გამო, მიბნედილს ავათმყოფს არ აძლევენ შესაფერს შველასა, რადგანაც ჰგონიათ მკვდრათ და ეშინიანთ მიახლოება. შემდგომი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდიძალი კაცი იმარხება ცოცხლათ, მახლობელთ დაუდევნელობისა და უმეცრობისაგან.

(შემდგომი მომავალს ნომერში.)

Одобрено ценсурою. Тифлиссъ. 15 Января. 1863 г.

რედ. კერესელიძე.